



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1664 2018 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის  
სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

საქართველოს სამი არასრულწლოვანი მოქალაქის (2013 წელს დაბადებული აბდულკარიმ მამედოვის, 2014 წელს დაბადებული საიფულლახ მამედოვისა და 2016 წელს დაბადებული ზეინაბ მამედოვას) ერაყის რესპუბლიკიდან საქართველოში გამომგზავრების მიზნით, ამასთან, 1969 წლის 10 თებერვალს დაბადებული საქართველოს მოქალაქე აქიფ სამადოვისა და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ორი სოციალური მუშაკის ბაღდადში ზემოაღნიშნული არასრულწლოვნების ჩამოსაყვანად გამგზავრებისა და ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ბაღდადში მდებარე ერაყის ქალთა ცენტრალური ციხიდან ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტამდე არასრულწლოვანთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელი მომსახურების შესაძენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) ევროს ეკვივალენტი ლარი და 10 180 (ათი ათას ას ოთხმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ზახტაძე